სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ი.ჭავჭავაძის გამზირი 84
0162 თბილისი, საქართველო
+995 32 2 25 84 84
info@expertiza.gov.ge

№ 5003591726
19/06/2026

5003591726

შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები-ს წარმომდგენელს (მინდობილობით) ბატონ გელა კელაპტრიშვილს

(საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, თამარ მეფის გამზ., №15)

ბატონო გელა,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2026 წლის 19 მაისის რეგისტრაციის N1004219026) საფუძველზე, გიგზავნით სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის N004258926 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

პატივისცემით,

ირაკლი ლიჩელი
ბიუროს უფროსის მოადგილე

5003591726

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____
(ხელმოწერა) ბ.ა

თარიღი 22.06.2026.

004258926

ექსპერტის დასკვნა № 004258926

გაფრთხილება

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები

თანამდებობა: წარმომდგენელი (მინდობილობით)

მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, თამარ მეფის გამზ., №15

სახელი და გვარი: გელა კელაპტრიშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ბაჩუკი ჩხარტიშვილი / კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 8 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ დაგვიდგინოთ თვლიანი სატვირთველის NISSAN L01A15W, სახ. ნომრით HH-995-D, ტექნიკური მდგომარეობა.

შემოსვლის თარიღი: 19/05/2026 წ

გასვლის თარიღი: 19/06/2026 წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი 2006 წელს დამზადებული თვლიანი სატვირთველი „NISSAN L01A15W", სახ. ნომრით HH-995-D, საიდენტიფიკაციო №(VIN): L01-003786, ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია.

ბაჩუკი ჩხარტიშვილი

გამოკვლევა

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილია 2006 წელს დამზადებული თვლიანი სატვირთველი „NISSAN L01A15W", სახ. ნომრით HH-995-D, საიდენტიფიკაციო №(VIN): L01-003786, რომლის ვიზუალური დათვალიერება მოხდა ქ. ბათუმში. ვიზუალური დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ სატვირთველის ძარას აღენიშნება ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად განვითარებული ცვეთის კვლები საღებავის აშრევების, განაკაწრების დეფორმაციების და ძლიერი კოროზიის სახით. სატვირთველს ასევე აღენიშნება ხანგრძლივად დგომის კვლები რასაც ადასტურებს ტექნიკის ძარაზე მოჭარბებული რაოდენობით მტვრის ფენა. გარდა ზემოაღნიშნულისა გამოსაკვლევ ტექნიკას დაზიანებული აქვს: დისკ-საბურავები, ძარის მარჯვენა და მარცხენა მხარის მოპირკეთება, მაშუქი ფარები, მარჯვენა და მარცხენა უკანა ხედვის სარკე, რიგი მაღალი წნევის მილები, ძრავი (ძრავს აღენიშნება ზეთის გამოჟონვის კვლები), გაგრილების რადიატორის ვენტილატორი, ელ. სადენები,

ნთების ბატარეა და ა.შ. ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი სატვირთველი ტექნიკურად გაუმართავ დგომარეობაშია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მივდივართ დასკვნამდე, რომ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი 2006 წელს დამზადებული თვლიანი სატვირთველი „NISSAN L01A15W", სახ. ნომრით HH-995-D, საიდენტიფიკაციო №(VIN): L01-003786, ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია.

ბაჩუკი ჩხარტიშვილი

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით გველესიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გიორგი სულაძე